

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა
საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) _____ კარლო ჯამბურია
თანამდებობის დასახელება __ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება _“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება _____

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) _პროპორციული
საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის ნოემბრიდან- 2019 წლის 1 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 22

საკრებულოს სხდომებზე დასწრება- 18

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _____ მათ შორის ორი დროებითი ჯგუფი

1. გეოგრაფიული ობიექტების დასახელება

2. საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -5

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _5

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები.

1) ფრაქცია „_“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს სხდომაზე ინიცირებული იქნა საკითხი, ლაგოდებში წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობისა, სასმელი წყლის ხარისხის და წყალზე დაწესებული ახალი ტარიფის განხილვის შესახებ. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საკითხი განიხილა სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი რესურსების კომისიებმა . სხდომას წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ , შპს „საქართველოს მელიორაციის“, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო. ჯამში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა 10-მდე შეხვედრა და გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მოგვარების მოთხოვნით საკრებულომ შესაბამის უწყებებს რეკომენდაციის სახით მიმართა.

2) ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოთხი დროებითი სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომლის ფარგლებში საკრებულოს წევრები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიული ობიექტების - უბნების, ქუჩების, შესახვევების და ჩიხების სახელდებისათვის გეოგრაფიული ობიექტების ისტორიული დასახელებებს, ლაგოდების მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის საჭიროებას და ამ დაწესებულებებში ჯგუფების რაოდენობას განსაზღვრავენ , ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის და ქალაქ ლაგოდებში საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის საკითხებს შეისწავლიან.

3) ქ. ლაგოდების № 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა
საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) _____ კარლო ჯამბურია
თანამდებობის დასახელება __ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება _“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება _____

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) _პროპორციული
საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის ნოემბრიდან- 2019 წლის 1 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 22

საკრებულოს სხდომებზე დასწრება- 18

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _____ მათ შორის ორი დროებითი ჯგუფი

1. გეოგრაფიული ობიექტების დასახელება

2. საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -5

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _5

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები.

1) ფრაქცია „_“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს სხდომაზე ინიცირებული იქნა საკითხი, ლაგოდეხში წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობისა, სასმელი წყლის ხარისხის და წყალზე დაწესებული ახალი ტარიფის განხილვის შესახებ. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საკითხი განიხილა სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი რესურსების კომისიებმა . სხდომას წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ , შპს „საქართველოს მელიორაციის“, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო. ჯამში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა 10-მდე შეხვედრა და გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მოგვარების მოთხოვნით საკრებულომ შესაბამის უწყებებს რეკომენდაციის სახით მიმართა.

2) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოთხი დროებითი სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომლის ფარგლებში საკრებულოს წევრები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიული ობიექტების - უბნების, ქუჩების, შესახვევების და ჩიხების სახელდებისათვის გეოგრაფიული ობიექტების ისტორიული დასახელებებს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის საჭიროებას და ამ დაწესებულებებში ჯგუფების რაოდენობას განსაზღვრავენ , ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის და ქალაქ ლაგოდეხში საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის საკითხებს შეისწავლიან.

3) ქ. ლაგოდეხის № 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.

4) 2020 წელს, ქ ლაგოდებში გურამიშვილის, ასათიანისა და კავკასიონის ქუჩის ასფალტო -ბეტონის საფარის დაგება.

5) საქართველოს მელიორაცია"-ს გაეგზავნა წერილი შრომა -კავშირის და ქ. ლაგოდებში სარწყავი და სანიღვრე არხების რეაბილიტაციის მოთხოვნის შესახებ.

6) „პირველი რესპუბლიკის წარმატებული ქალები“- მოსწავლეებთან შეხვედრა და დოკუმენტური ფილმის ჩვენება მოეწყო . შეხვედრაზე ქალთა მიმართ ძალადობისა, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე იმსჯელეს. შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის რანგში იქნა ინიცირებული.

7) „თვითმმართველობის მუშაობის სპეციფიკა და მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ სემინარი სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან.

8) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) წარმომადგენლების მიერ მომზადებული ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულომ 87% -იანი შედეგით, როგორც წარმომადგენლობით, ისე აღმასრულებელ ორგანოებს შორის პირველ ადგილი დაიკავა.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა № 25, № 26, № 29, № 33 განკარგულება (ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოთხი დროებითი სამუშაო ჯგუფი)

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები -უმრავლესობის მიერ ინიცირებულ ყველა საკითხი იქნა მხარდაჭერილი.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 30-მდე(საანგარიშო პერიოდი) და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 30- 40 (თითოეული შეხვედრა)

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

-მოქალაქეებთან შეხვედრებზე , რომელიც რეგულარულად იმართება და რომლის მიზანია წარმომადგენლობითი ორგანოს გამჭვირვალობა, ანგარიშგება და მოქალაქეთა პრობლემების კვლევა, გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი.

- ✓ დასაქმება
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ✓ საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია
- ✓ სასმელი წყლის ხარისხი
- ✓ სანიაღვრე არხების მოწყობა

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოსახლეობის პრობლემათა ადვოკატირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება .

მაგ: ლაგოდებში წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობისა ,სასმელი წყლის ხარისხის და წყალზე დაწესებული ახალი ტარიფის განხილვის შესახებ . შეხვედრები შედგა და მომზადდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს და შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს გაგზავნა. შედეგად ლაგოდებში მცხოვრებ 317 აბონენტს სასმელ წყალზე დარიცხული დავალიანება გაუნულდა და სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებამდე შეჩერდა გადასახადის მრიცხველით აღრიცხვა. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო 5000 ლარით, ბიუჯეტის სასარგებლოდ დააჯარიმა. სალიცენზიო პირობების დარღვევად კომისიამ მიიჩნია გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, რომელიც მიზნად ისახავდა ლაგოდების მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემებში სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგის გამკაცრებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

საჯარო სხდომაზე, კომისიამ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ განუსაზღვრა ვადა ლაგოდების მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

✓ რეგიონალურ საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორთან არსებულ მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს, რომელის მიზანია სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების განხილვა; სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა; სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორისთვის რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს წევრები არიან: მუნიციპალიტეტების გამგებლები, თვითმმართველის ქალაქის მერები, მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები და მისი მოადგილეები.

✓ ლაგოდების ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრი.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) სოფლის განვითარების ევროპული მიდგომის, ე.წ. LEADER-ის, ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

ლაგოდების ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) დაარსდა 2016 წლის თებერვალში ევროკავშირისა (EU) და ქვე საერთაშორისოს ხელშეწყობით. მას შემდეგ, ის აქტიურადაა ჩართული ისეთ მუნიციპალურ საკითხებში, როგორცაა სოფლის მეურნეობის განვითარება, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება და დასაქმება. ჯგუფი შედგება 100 წევრისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას.


- ✓ ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

გენდერული თანასწორობის საბჭო მრავალფუნქციური ინსტიტუციაა და მისი მთავარი მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი ჩართულობა და მათი უფლებების თანაბარი რეალიზაცია. კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო საბჭოს შემადგენლობაში შედიან მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.
- ✓ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე მონაწილეობა.

შეესების თარიღი 25.10. 2019

წარდგენის თარიღი 28.10.2019

ხელის მოწერა  -----